ბრძანება:**ბ22.22220571**
თარიღი:**26/02/2022**

მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2022 წლის

საგაზაფხულო გაწვევის ჩასატარებლად, გამწვევი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე" პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 52–ე და 54–ე მუხლების, საქართველოს კანონის ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ'' 22-ე მუხლის, ,,სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 01 თებერვლის N51 დადგენილების, საქართველოს რეგიონილი განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2022 წლის 03 თებერვლის N23/ო ბრძანების ,,სამხედრო სავალდებულო სამსახურში, მოქალაქეთა 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ" და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის 08/02/2022 წლის N09-222203981 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის ჩასატარებლად, შეიქმნას გამწვევი კომისია შემდეგი შემადგელობით:

ა) ვასილ გველესიანი– კომისიის თავმჯდომარე (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი);

ბ) ავთანდილ კიკნაველიძე - თავმჯდომარის მოადგილე (სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

გ) შოთა მეშვილდიშვილი – კომისიის წევრი (შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეოს მთავარი სამმართველოს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უფროსი);

დ)ირაკლი ჩუბინიძე – კომისიის წევრი (საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი);

ე) გულნარა თუთბერიძე – კომისიის მდივანი (სამხედრო აღრიცხვისა და

გაწვევის სამსახურის, III -რანგის I-კატეგორიის უფროსი სპეციალისტი).

2. დაევალოს კომისიას, იხელმძღვანელოს ,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონით, ,,სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 01 თებერვლის N51 დადგენილებით და ,,სამხედრო სავალდებულო სამსახურში, მოქალაქეთა 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ" საქართველოს რეგიონილი განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2022 წლის 03 თებერვლის N23/ო ბრძანებით.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7).

ვასილ გველესიანი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი